აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 5

29 დეკემბერი 2009 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი, გია გარსევანიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი თამაზ შარმანაშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარადგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ.

(მომხ. ქ. ჯიქია)

1. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონით უსკო-ზე დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად, უსკო-ს მიერ დამტკიცებული უნდა იქნას 2010 წლის მიმდინარე ხარჯები (ხარჯთაღრიცხვა) კვარტლების მიხედვით. ასევე განიხილა და კომისიას გააცნო ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2010 წლის ხარჯთაღრიცხვა თანახმად დანართისა.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა ქეთევან ჯიქიამ კომისიას წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურის დამტიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისია დღემდე ხელმძღვანელობს 2006 წლის 13 ივლისის №3 განკარგულებით დამტკიცებულ საარქივო სამმართველოსთან შეთანხმებული საქმეთა ნომენკლატურით, მაგრამ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ყოველდღიური საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების შემადგენლობისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ (როდესაც გაუქმდა საარჩევნო ოლქები) აუცილებელი გახდა შემუშავებულიყო ახალი საქმეთა ნომენკლატურა. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ შემუშავებული საქმეთა ნომენკლატურის პროექტი მოწონებული იქნა უსკო-ს მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის მიერ 2009 წლის 18 დეკემბრის №2 ოქმით რომელიც ასევე შეთანხმებული იქნა აჭარის ა. რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს შემმოწმებელ საექსპერტო კომისიასთან (სხდომის ოქმი №12, 24.12.2009 წ.). ასევე აღნიშნა, რომ უსკო-ს საქმეთა ნომენკლატურის პროექტის მომზადებისას გამოყენებული იქნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის №174 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები“, საქართველოს ეროვნული არქივის მიერ შემუშავებული „დაწესებულებების საქამიანობის პროცესში წარმოქმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების

ნუსხის“ ახალი რედაქცია დამტკიცებული საქართველოს ეროვნული არქივის დირექტორის 2009 წლის 5 მაისის №23-ძს ბრძანებით და „საქმისწარმოების ერთიანი წესები“, რის შემდეგაც კომისიას დეტალურად გააცნო ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულების 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის №174 ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურა დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 13 ივლისის № 3 განკარგულება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ № 30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. განკარგულება ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია